

შპს “იტს“-ს

საწყისი ფინანსური ანგარიშგება და განმარტებები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

სარჩევი

საწყისი სრული შემოსავლისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება.....	3-4
საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5-6
საწყისი ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	7
საწყისი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	8-13

საწყისი სრული შემოსავლისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	31-12-24	31-12-23	31-12-22
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	4,519,605	4,400,041	3,338,648
სავაჭრო მოთხოვნები		179,833	594,178	1,337,978
გადახდილი ავანსები		259,851	402,967	889,056
მარაგები		85,620	96,126	86,279
მზა პროდუქცია		-	-	-
სხვა	5	85,620	96,126	86,279
საინვესტიციო ქონება		-	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები		-	-	-
ბიოლოგიური აქტივები		-	-	-
თვითღირებულების მოდელით		-	-	-
გადაფასების მოდელით		-	-	-
გუდვილი		-	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები		-	-	-
ძირითადი საშუალებები	6	64,161	76,574	87,204
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		-	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		-	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები		-	-	-
სულ აქტივები		5,109,070	5,569,886	5,739,165

ვალდებულებები

ფინანსური იჯარის ვალდებულება	-	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	18,777	18,850	109,007
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	-	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	-	6,728	-
საგადასახადო ვალდებულებები	19,364	8,985	-
გამოუმუშავებელი შემოსავალი	-	-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	-	-	-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	-	-	-
მიღებული გრანტები	-	-	-
სხვა ვალდებულებები	-	-	-
სულ ვალდებულებები	38,141	34,563	109,007
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	100	100	100
საემისიო შემოსავალი	-	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	5,070,829	5,535,223	5,630,058
გადაფასების რეზერვი	-	-	-
სხვა რეზერვები	-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი	5,070,929	5,535,323	5,630,158
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	5,109,070	5,569,886	5,739,165

საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2024 წელი	2023 წელი
ნეტო ამონაგები		2,304,835	5,567,633
საქონლის გაყიდვიდან		2,304,835	5,567,633
მომსახურების გაწევიდან		-	-
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		-	-
სხვა		-	-
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(1,308,410)	(3,633,889)
საწყისი მარაგები		(96,126)	(86,279)
მარაგების შესყიდვა		(1,297,904)	(3,643,736)
გადამუშავების დანახარჯები		-	-
საბოლოო მარაგები		85,620	96,126
საერთო მოგება		996,425	1,933,744
სხვა შემოსავალი		-	-
დასაქმებულთა ანაზღაურება (-)		(243,311)	(221,316)
ცვეთა და ამორტიზაცია (-)		(12,413)	(12,313)
საპროცენტო შემოსავალი		-	-
საპროცენტო ხარჯი (-)		(3,553)	(28,982)
იჯარის ხარჯი (-)		(16,339)	(7,439)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი (-)	3	(156,431)	(234,416)
სულ საოპერაციო ხარჯები		(432,047)	(504,466)
საოპერაციო მოგება		564,378	1,429,278
გაუფასურების (ხარჯი)/ აღდგენა:			
ფინანსური აქტივები (-)		-	(376,817)
მარაგები (-)		-	-

სხვა არაფინანსური აქტივები (-)		-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	(179,236)	(104,725)
მიღებული დივიდენდები		-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		-
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	385,142	947,736
მოგების გადასახადი (-)	(127,430)	(156,386)
მოგება/(ზარალი)	257,712	791,350
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი		-
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)		-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ		-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	257,712	791,350
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	5,535,323	5,630,158
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')		-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(722,106)	(886,185)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები		-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	5,070,929	5,535,323

საწყისი ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2024 წელი	2023 წელი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	298,800	1,250,608
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-	-
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	298,800	1,250,608
სავალუტო კურსის ეფექტი	(179,236)	(189,215)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	4,400,041	3,338,648
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	4,519,605	4,400,041

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „იტს“ (ს/ნ 404897616) (შემდგომში „კომპანია“) რეგისტრირებულია 2011 წლის 11 მაისს. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზ., 34/ა, ბ. 136, ხოლო და ფაქტიურის საქმიანობის მისამართია თბილისი, ვაკის რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზ. 47. შპს „იტს“-ს მესაკუთრე არის თეიმურაზ მიქელაძე (პ/ნ 61001002993) – 100%. კომპანიის დირექტორი არის თეიმურაზ მიქელაძე (პ/ნ 61001002993). კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის არასპეციალიზებული საბითუმო ვაჭრობა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების მისი შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სკს) გათვალისწინებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

მოგების გადასახადი

სკს-ს მიხედვით საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება.

მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. იმ შემთხვევაში თუ დივიდენდები განაწილებულია 2008-2016 წლებში დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან, მაშინ მოგების გადასახადის ვალდებულება საწარმოს არ წარმოეშვება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდის

განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და სხვა). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგების სხვა არასაოპერაციო ხარჯებში.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში;
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება ისტორიული ღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლების რაოდენობა.

ძირითადი საშუალებების დასახელება	სასარგებლო გამოყენების ვადა
სატრანსპორტო საშუალებები	10 წელი
ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი	5 წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა ან აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

იჯარა

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს (ან შეიცავს) თუ არა იჯარას, ხდება იჯარის დასაწყისში, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან მოიცავს იჯარას, თუ მისი შესრულება დამოკიდებულია გარკვეული აქტივის (ან აქტივების) გამოყენებაზე და შეთანხმება ასახავს აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებას მაშინაც კი, თუ ეს აქტივი (ან აქტივები) მკაფიოდ არ არის მითითებული შეთანხმებაში.

კომპანია, როგორც მოიჯარე

აქტივის კლასიფიცირება ხდება იჯარის საწყისი თარიღით ფინანსურ ან საოპერაციო იჯარად.

იჯარა, რომელიც გადასცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს კომპანიას, კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად.

საოპერაციო იჯარა არის ისეთი ტიპის იჯარა, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს ფინანსურ იჯარად. საოპერაციო იჯარის გადასახდელების აღიარება ხდება საოპერაციო ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

კომპანია, როგორც მემიჯარე

იჯარას, რომლის დროსაც კომპანია არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. საიჯარო ქირის აღიარება ხდება შემოსავლის სახით იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მისი მიღება.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ბანკში ფულის ნაშთისგან.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ბანკის ეროვნული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	2024 წელი
	ლარი
რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები	27,059
ანარიცხები საპენსიო ფონდში	3,129
ავტოტრანსპორტის შენახვის ხარჯი	14,782
კომუნალური ხარჯი	1,845
ბანკის მომსახურების ხარჯი	10,511
კომუნიკაციის ხარჯი	2,215
მივლინების ხარჯი	7,857
დაზღვევის ხარჯი	4,737
სატენდერო მოსაკრებლის ხარჯი	11,214
ქონების გადასახადი	704
წარმომადგენლობითი ხარჯი	11,742

თარჯიმანის მომსახურების ხარჯი	4,572
ბანკის მიერ გაცემული გარანტიების მომსახურების ხარჯი	40,045
სხვა ხარჯები	16,019
	156,431

4. ფული და ფულის ეკვივალენტები

	<u>2024 წელი</u>	<u>2023 წელი</u>
	ლარი	ლარი
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	10	109
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	545,631	912,536
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	3,973,964	3,487,396
	4,519,605	4,400,041

5. მარაგები

	<u>2024 წელი</u>	<u>2023 წელი</u>
	ლარი	ლარი
საქონელი	85,620	96,126
	85,620	96,126

6. ძირითადი საშუალებები

	<u>2024 წელი</u>	<u>2023 წელი</u>
	ლარი	ლარი
ძირითადი საშუალებები	64,161	76,574
	64,161	76,574

	<u>2024 წელი</u> ლარი	<u>2023 წელი</u> ლარი
7. საპროცენტო ვალდებულებები	0	0
	<u>0</u>	<u>0</u>

8. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2024 წლის 01 იანვრის და 2024 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენდა 100 ლარს.

9. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 30 სექტემბერს.

შპს „იტს“-ს

დირექტორი: /თეიმურაზ მიქელაშვილი/



	<u>2024 წელი</u> ლარი	<u>2023 წელი</u> ლარი
7. საპროცენტო ვალდებულებები	0	0
	<u>0</u>	<u>0</u>

8. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2024 წლის 01 იანვრის და 2024 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენდა 100 ლარს.

9. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 30 სექტემბერს.

შპს „იტს“-ს

დირექტორი: /თეიმურაზ მიქელაძე/